

განკარგულება N

ქ. ოზურგეთი
2018წ----- ოქტომბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.33.23.103) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ.26.33.23.103) შემოქმედის (გომი) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, 20 (ოცი) წლის ვადით, იოსებ ერქომანიშვილზე (პ/ნ333001000066) გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირა განისაზღვროს აუდიტური კომპანია „კომპაუდი“-ს მიერ დადგენილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 7 %, 1470 (ათასოთხასსამოცდაათი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე